



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 351
29/05/2017

ბრძანება

351-09-4-201705291021



დაბა ხულოში წერეთლის ქ. №4-ში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქცისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების მცხოვრებ თემურ სოლომონიძის 2017 წლის 27 აპრილის №4346/09 განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება დაბა ხულოში წერეთლის ქ. №4-ში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქცისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის, XI-ე თავის 53-ე მუხლის, XII-ე და XV-ე თავებით მოთხოვნილ პირობებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს თემურ სოლომონიძის მოთხოვნა და გაცემული იქნეს დაბა ხულოში წერეთლის ქ. №4-ში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქცისათვის მშენებლობის ნებართვა.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ე.ე ქვეპუნქტს, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს VI და IX თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII თავის, ამავე დადგენილების XI თავისა და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის ანზორ ცეცხლაძის 2017 წლის 23 მაისის N1594-09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1) გაიცეს დაბა ხულოში წერეთლის ქ. №4-ში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქცისათვის მშენებლობის ნებართვა;

- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;
- 3) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;
- 4) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;
- 5) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 6) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძე) წინამდებარე ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 7) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 8) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა